საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/2

ქ. ბათუმი 18 ი ა ნ ვ ა რ ი , 2016 წ.

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოყვანის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, აღდგენის წესით ჩარიცხვის წესისა და საბუთების მიღება/განხილვის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“–ს, „2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 8 იანვრის №11 ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“-ს მე-5 მუხლის, „2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის/შიდა მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 იანვრის №1 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის საბუთების მიღება/განხილვის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:
   ა) დოკუმენტაციის მიღება - 2016 წლის 5, 8, 9 თებერვლის ჩათვლით;
   ბ) კრედიტების აღიარება - 2016 წლის 10 თებერვალი.
   გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის შესახებ განცხადების მიღება - 2016 წლის 11 თებერვლიდან 12 თებერვლის ჩათვლით;

დ) ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 2016 წლის 17 თებერვალი.

2. 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობის) და სტატუსშეჩერებული / სტატუსშეწყვეტილი პირის სტატუსის აღდგენის (შემდგომში - აღდგენა) მსურველთათვის საბუთების მიღება/განხილვის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2016 წლის 15, 16, 17 თებერვლის ჩათვლით;

ბ) კრედიტების აღიარება - 2016 წლის 18,19 თებერვალი.

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის შესახებ განცხადების მიღება - 2016 წლის 22, 23 თებერვლის ჩათვლით;

დ) ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 2016 წლის 26 თებერვალი.

3. დამტკიცდეს სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოყვანის, საგანმანთლებლო პროგრამის შეცვლისა და აღდგენის წესით ჩარიცხვის წესი (მობილობის) თანდართული წესი (დანართი 1);

4. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების აღსრულების კოორდინირება;

5. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე;

6. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

7. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი 1

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოყვანის, ფაკულტეტის შეცვლისა და აღდგენის წესით ჩარიცხვის წესი

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ბსუ-ში სტუდენტის გადმოსვლის (შემდგომში - მობილობა) და ბსუ-ს სტუდენტის ფაკულტეტის შეცვლის (შემდგომში - შიდა მობილობა) პროცედურას;
2. საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის შესაბამისად შიდა მობილობის ფარგლებში ხორციელდება სტატუსშეჩერებულ/სტატუსშეწყვეტილ პირთა აღდგენის წესითა ჩარიცხვა (შემდგომში - აღდგენა);
3. მობილობის/შიდა მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი ვალდებულია დადგენილ ვადებში შესაბამისი განცხადებით მომართოს ბსუ-ს რექტორს;
4. **სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ბსუ–ში გადმოსვლის მსურველებმა** რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:
   ა) განცხადება;
   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   დ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;
   ე) საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი;
   ვ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   ზ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის შესახებ განცხადება (აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ);

5. **ფაკულტეტის შეცვლის მსურველმა** ბსუ-ს სტუდენტებმა წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:
   ა) განცხადება;
   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ) სასწავლო ბარათის ასლი, დამოწმებული ფაკულტეტის დეკანის მიერ;
   დ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
   ე) კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის შესახებ განცხადება (აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ);
6. **აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველებმა** (სტატუსშეჩერებულმა/სტატუსშეწყვეტილმა პირებმა) რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:
   ა) განცხადება;
   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;

დ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შესახებ ბრძანების ასლი;
ე) კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის შესახებ განცხადება (აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ);

7. რეგისტრაციის პერიოდის დასრულების შემდეგ განცხადებები განსახილველად გადაეცემა შესაბამის ფაკულტეტს. მიმღები ფაკულტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით ადგენს დასკვნას მობილობის/შიდა მობილობის/აღდგენის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგებისა, შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების მიზანშეწონილობის შესახებ, ბსუ-ში მიღებული კრედიტების ცნობის წესის შესაბამისად. თავსებადობის დასკვნები გადაეცემა სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს, რომლის საფუძველზეც მზადდება ბრძანების პროექტი.

8. თუ შიდა მობილობის მსურველთა განცხადებების რაოდენობა გამოცხადებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, მაშინ ფაკულტეტი უფლებამოსილია დაადგინოს პროგრამაზე მიღების კრიტერიუმები.

9. მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის მიზნით ფაკულტეტი უფლებამოსილია განსაზღვროს პროგრამაზე მიღების წინაპირობა ან/და მობილობის მსურველს ჩაუტაროს შესაბამისი გასაუბრება/გამოცდა;

10. სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით ბსუ-ს რექტორი შეიმუშავებს მობილობის წესით სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტს და წარუდგენს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

11. ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეწყვეტილი/სტატუსშეჩერებული პირის აღდგენის წესით ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი სრულად დაფარავს ფინანსურ დავალიანებას;

12. ბსუ-ში მობილობის/შიდა მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტსა და ბსუ-ს შორის ფორმდება ხელშეკრულება.